2018 წლის 12 აპრილს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში საჯარო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენაში ტესტირება ჩატარდება

დედაენის დღესთან დაკავშირებით სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი საჯარო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენაში ტესტირებას ჩაატარებს. ტესტირებას 14 სამინისტროს 84 თანამშრომელი გაივლის. თითოეულ სამინისტროს შესაძლებლობა აქვს, გენდერული ბალანსის გათვალისწინებით, ტესტირებაზე წარადგინოს 3 მდედრობითი და 3 მამრობითი სქესის თანამშრომელი შემდეგი კრიტერიუმების დაცვით:

- წარდგენილი კანდიდატი დასაქმებული უნდა იყოს შესაბამის სამინისტროში;
- წარდგენილი კანდიდატი არ უნდა იყოს ფილოლოგი;
- წარდგენილ კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს გავლილი ქართული ენის მართლწერის ტესტი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში.

მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები, ხოლო საუკეთესო შედეგის მქონე საჯარო მოხელეებს სიმბოლური საჩუქრები.

- **ქართული ენის მართლწერის ტესტირება ჩატარდება 2018 წლის 12 აპრილს 14:00 საათზე (ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1, 0186 თბილისი, საქართველო).**

იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, ქართული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი პირველად საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში შეიქმნა და პირველი ტესტირებაც სწორედ დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა 2016 წელს. ამ დროიდან საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ექსკლუზიურად გასცემს ქართული ენის ცოდნის დონის დამდგენ სერტიფიკატს, რომელიც 61 პირს აქვს მიღებული.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში დანერგილია ქართული ენის ორი ტიპის ტესტი. პირველი განსაზღვრავს ქართული ენის მართლწერის ცოდნასა და გამოყენების უნარს და განკუთვნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დასაქმებული ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისათვის, ხოლო მეორე აფასებს ქართულის, როგორც უცხო ენის ცოდნის დონეს. ქართული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი შექმნილია ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ პრინციპებზე დაყრდნობით და ენის ცოდნის A, B და C დონეებს განსაზღვრავს.

ქართული ენის მართლწერის ტესტის ნიმუში იხილეთ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ვებ.გვერდზე.

დაჯილდოების ღონისძიება გაიმართება 14 აპრილს, 15:00 საათზე, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში (ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1, 0186 თბილისი, საქართველო)